MES 1 23 0001602011

24/11/2023

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 09 ნოემბერი.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:
კახა შენგელია - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

თემური თექთუმანიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. ალექსანდრე მღებრიშვილი - უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. ლევან მიდოდაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. ციური დურული - უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
4. ლელა ალექსიძე - განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
5. ქეთევან ბარბაქაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
6. მარიკა შერაზადიშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი;
7. დავით კვერნაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;
8. ზურაბ ზურაბაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
9. ანა იმნაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:

1. ეკატერინე ბაკარაძე - პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის აღმასრულებელი მენეჯერი;
2. ვახტანგ ზაალიშვილი - პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენელი;
3. სერგო ესაძე - პროფესორი, სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამის ხელმძღვანელი;
4. ზურაბ მოდებაძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია :

1. დავით რაზმაძე - აკადემიის რექტორის მოადგილე, პოლკოვნიკი;
2. მარიამ ღამბაშიძე - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. თეიმურაზ ნიკოლაიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ოფიცერი ვიცე-პოლკოვნიკი;
4.ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი;
5.ჯამბულ ზალოშვილი - აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, პოლკოვნიკი;
6. ლაშა დიდებულიძე - აკადემიის შტაბის G-1 სამსახურის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი;
7. გიორგი ვანიშვილი - აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი;
8. კახაბერ ყავლაშვილი - აკადემიის შტაბის G-5 სამსახურის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი;

9. მარიამ ბაღათურია - აკადემიის შტაბის იურიდიული სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ა) სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა :

1. დიანა მჭედლიშვილი;
2. ია მოსაშვილი.

ბ) ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა :
1) დავით სიხარულიძე;
2) ეკა გეგეშიძე.

გ) ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა:
1) ია მოსაშვილი;
2) დიანა მჭედლიშვილი.

დ) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა:
1) ია მოსაშვილი;
2) ნინო ამირანაშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა.

სხდომის დაწყების დრო: 15:00
სხდომის დასრულების დრო: 16:21

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა განიხილეს 2022 წელს ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული 12 რეკომენდაციის შესრულების საკითხი, რომელთაგან ერთი რეკომენდაცია თავად ავტორიზაციის საბჭოს მიერ იქნა განსაზღვრული. მისი თქმით, შეფასება განხორციელდა პირველი სტანდარტის ორივე, მეორე სტანდარტის 2.1, მესამე სტანდარტის 3.1, მეოთხე სტანდარტის 4.1, მეექვსე სტანდარტის 6.2 და 6.3, ხოლო მეშვიდე სტანდარტის 7.3 კომპონენტთან მიმართებით. დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა და ექსპერტთა ჯგუფმა თითოეული კომპონენტი შეაფასა, როგორც სრულად შესაბამისი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტების მიერ მოხდა რჩევის დამატება მეექვსე სტანდარტის 6.2 კომპონენტთან მიმართებით. კერძოდ, რჩევის თანახმად, სასურველია მომავალში წარმოდგენილ იქნას სხვადასხვა შიდა საგრანტო პროექტის ბიუჯეტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია (მე-9), კერძოდ, „უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კვლევითი საგრანტო პროექტების გაცემის გამჭვირვალე და სამართლიანი ზოგადი წესი“. დაწესებულებების მიერ ცვლილება განხორციელდა პერსონალისა და სტუდენტური ინიციატივების და პროექტების წარდგენის და დაფინანსების წესში, რომლის თანახმადაც, კონკრეტული მაქსიმალური თანხა სამეცნიერო პროექტების დაფინანსების თვალსაზრისით აღარ არის დადგენილი. პერსონალს და სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი დაფინანსება. მისი თქმით, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ ჩანდა ის თუ როგორ ხდებოდა ამ ყველაფრის პრაქტიკაში იმპლემენტაცია. შესაბამისად, ეს გახდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ რჩევის გაცემის საფუძველი. მეექვსე სტანდარტის 6.2 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან აღნიშნული დადგენილება მიმდინარე წლის ივლისში იქნა მიღებული აღნიშნული პროექტების წარდგენასთან დაკავშირებით დაფინანსების წესის ცვლილების თაობაზე, დინამიკაში მისი განხორციელების პრაქტიკის დანახვა შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, განისაზღვრა რჩევა, რომ დაწესებულებამ მომავალში წარმოადგინოს თითოეული შიდა საგრანტო პროექტის ბიუჯეტი, რათა ნათელი იყოს თუ როგორ განხორციელდა პროექტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სექტემბრის თვეში უკვე დაფინანსდა სტუდენტური პროექტები, რომელთა ღირებულებაც 10 000 ლარს აღემატება.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება

დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ცენტრში წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79^1-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართასაბჭოს წევრებს,ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით სიხარულიძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საავტორიზაციო შეფასება განხორციელდა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მესამე, მეოთხე და მეშვიდე სტანდარტი. 3.2 და 3.3 კომპონენტები მეტწილად, ხოლო მეოთხე და მეშვიდე სტანდარტის კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხება პროგრამის სტრუქტურას, კერძოდ, „რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს ბიზნესისა და მენეჯმენტის ისეთი საგნები, როგორიცაა „მარკეტინგის საფუძვლები“, „ციფრული მარკეტინგი“, „მომხმარებლის ქცევა“, „ოპერაცია და მენეჯმენტი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მართვა“ და ა.შ. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გაძლიერების მიზნით. გარდა ამისა, გათვალისწინებულ იქნას, რომ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები იყოს არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობის. დავით სიხარულიძის აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაცია ეხება შეფასების სისტემას კერძოდ, „რეკომენდებულია სასწავლო კურსის შეფასების სისტემის დახვეწა, გამჭვირვალე მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების ნაკლოვანებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, ეკა ბაკარაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ პროგრამა წარმოადგინა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრში დაახლოებით ერთი წლის წინ, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დამტკიცდა 2023 წლის სექტემბერში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს იზიარებს. მისი თქმით, პროგრამა ახლო მომავალში სრულად მოვა შესაბამისობაში დარგობრივ სტანდარტთან და ასევე გაითვალისწინებენ ექსპერტთა რეკომენდაციებს, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებულია. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, მან აღნიშნა, რომ აქვთ კომუნიკაცია სასწავლო პერსონალთან, რომელიც ახორციელებს შესაბამის სასწავლო კურსებს, სილაბუსებიც განვითარდა უკვე და დასრულდა აღნიშნული პროცესი.

ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ წინა პროგრამის ფარგლებში სავალდებულო სასწავლო საგნები ფაქტობრივად ყველა სტუდენტმა გაიარა გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც არიან პირველ კურსზე, რომლებსაც თავის მხრივ აქვთ დრო რომ არსებული ახალი სტანდარტის მიხედვით გააგრძელონ სწავლა. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკა ამ თვალსაზრისით სწორედ იმ მიმართულებით ხორციელდება უნივერსიტეტში, როგორც სტანდარტი ითხოვს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამის არქიტექტურა დაკორექტირდება და მოვა შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება

დაწყების დრო: 15:45
დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, 21-ე პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ნიუ - ვიჟენ უნივერსიტეტს დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

რეკომენდაციები :

- რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების მოდულს დაემატოს ბიზნესის და მენეჯმენტის ისეთი საგნები, როგორიცაა მარკეტინგის საფუძლები, ციფრული მარკეტინგი, მომხმარებლის ქცევა, ოპერაციათა მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა და ა.შ. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გაძლიერების მიზნით და გათვალისწინებულ იქნას, რომ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები იყოს არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის შეფასების სისტემის დახვეწა გამჭვირვალე მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

რჩევები :

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგის ,,ადეკვატურად განმარტავს არსებულ მიზნებს და იძიებს ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებობებს“ ფორმულირება დაიხვეწოს მეტი გამჭირვალობის მიზნით.
- სასურველია უსდ-მ პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტი განთავსოს ვებგვერზე;
- სასურველია უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განთავსება ვებგვერდზე განთავსება.
- პროგრამის მდგაროდბისათვის მოახდინეთ დამატებით აკადემიური ანდა მოწვეული პერსონალის მოზიდვა და ჩართვა პროგრამის განხორციელებაში

3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართასაბჭოს წევრებს,ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ია მოსაშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ წარმოადგენს მესამე და მეოთხე სტანდარტის შესაბამისობას. დაწესებულებას მეშვიდე სტანდარტთან მიმართებით ცვლილებები არ განუხორციელებია და შესაბამისად აღნიშნული სტანდარტის თაობაზე შეფასება არ განხორციელებულა. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მხოლოდ მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარკვეულ გაუგებრობას თუ დოკუმენტების გაბნევას ჰქონდა ადგილი და რიგი დოკუმენტები აკლდა, ან წარმოდგენილი იყო ძველი ვერსიები. თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი დოკუმენტები. ექსპერტებმა ამის გამო ორმაგი შრომა გაწიეს, ვინაიდან ახალი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე შემუშავდა ფაქტობრივად ახალი დასკვნა. აქედან გამომდინარე, თავდაპირველი დასკვნის პროექტი და საბოლოო დასკვნა საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტთან მიმართებით გაცემულია გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ რეკომენდებულია გაკეთდეს ამ პროგრამის წინამორბედი პროგრამის გამოკითხვის ანალიზი. ეს რეკომენდაცია აქამდეც იყო გაცემული, თუმცა, ის გამოკითხვების ანალიზი, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა, არ შეესაბამებოდა ბიზნესის და საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამას. იყო მხოლოდ ცალკე ბიზნესის პროგრამის და შესაბამისად, ექსპერტმა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეკეთებინა ანალიზი, რომ ამის საფუძველზე მოხდა მიმდინარე პროგრამის შემუშავება და აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა ძველი ფორმით. რეკომენდებულია სილაბუსებში იყოს ინგლისურენოვანი ძირითადი ლიტერატურა, ვინაიდან რამდენიმე სილაბუსს აქვს ქართულენოვანი ლიტერატურა, როდესაც პროგრამა არის ინგლისურენოვანი. ასევე, დაკორექტირდეს სწავლის შედეგების ცხრილში მეშვიდე სწავლის შედეგის შესაბამისი საგნები, ვინაიდან არსებული საგნები არ გადის მეშვიდე სწავლის შედეგზე. ასევე ექსპერტთა ჯგუფს აქვს რჩევები, მაგალითად კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით, თვითშეფასების ანგარიშში არ იყოს ნათლად წარმოდგენილი კრედიტების რაოდენობები. მისი თქმით, სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომს და თავისუფალი კომპონენტები წინაპირობის გარეშე იყოს წარმოდგენილი.
ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ყველაფერი იყო სტანდარტთან შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, ეკა ბაქარაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. იგი დაეთანხმა ექსპერტს დოკუმენტებზე წვდომის პრობლემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მათ ცენტრში წარმოადგინეს დოკუმენტები wetransfer-ით. შემდგომ აღმოჩნდა, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ წვდომა პროგრამის ინგლისურენოვან ვერსიაზე და როდესაც ისინი დასკვნას ელოდებოდნენ, ახლიდან მოუწიათ დოკუმენტების გადაგზავნა. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში დაწესებულება ყოველწლიურად აწარმოებს კურსდამთავრებულების, სტუდენტების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვას, რომელიც არის ძალიან აქტიური და ინტენსიური პროცესი. სემესტრულად კეთდება შედეგების შესახებ პრეზენტაცია და ექსპერტებს მიეწოდათ 2022 წლის ვერსია, ვინაიდან როდესაც მათ გამოითხოვეს დოკუმენტაცია, 2023 წლის ვერსია არ იყო სრულყოფილად. დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა ხარისხის კულტურის კომიტეტის წინა წლების შეფასებები. დამატებით მათ ასევე წარმოადგინეს ძველი პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება, რომელსაც ისინი ახორციელებენ იმ შემთხვევაში, როდესაც კურსზე დარეგისტრირებულია 10 ან მეტი სტუდენტი. IT-ს კურსზე 7-8 სტუდენტი იყო დარეგისტრირებული, აქედან გამომდინარე ექსპერტებმა სრული შეფასების სურათი ვერ დაინახეს, ვინაიდან გარკვეული სტანდარტია უნივერსიტეტში დაწესებული, რომ შეფასება ხდება, თუ 10-ზე მეტია სტუდენტია დარეგისტრირებული. რაც შეეხება ინგლისურენოვან ლიტერატურას, მან აღნიშნა, რომ პროგრამის ორ ნაწილად გაყოფის შედეგად დაწესებულებას მოუწია მცირე დროში რამდენიმე ახალი სასწავლო კურსის შეთავაზება სტუდენტისთვის. შესაძლებელია, რომ ტექნიკურად გამორჩენილიყო ინგლისურენოვანი ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია და სტუდენტები იყენებენ სასწავლო კურსების სწავლის ფარგლებში მხოლოდ ინგლისურენოვან ლიტერატურას. ქართველი სტუდენტები აღნიშნულ პროგრამაზე ძალიან მცირე ნაწილია. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ორ სასწავლო კურსს, წრფივ ალგებრას და ალგორითმებს, რომლებიც ერთ-ერთ შეფასების კომპონენტში ითვალისწინებდნენ პროექტის წერას, თუმცა სილაბუსში მცირე აღრევა იყო აღნიშნულთან დაკავშირებით და იზიარებენ ექსპერტების მოსაზრებას. ეს ნაწილი უკვე დაკორექტირებულია და ზემოაღნიშნული ორი სასწავლო კურსი შესაბამისობაშია მოყვანილი სწავლის შედეგების მეშვიდე კომპეტენციასთან. აქედან გამომდინარე, ძირითადად მათ ეს რეკომენდაციები უკვე გაითვალისწინეს ან გათვალისწინების პროცესშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლიოვამ კითხვა დაუსვა ექსპერტს. მას აინტერესებდა, რა დრო დასჭირდება დაწესებულებას რეკომენდაციების შესასრულებლად. ია მოსაშვილმა განაცხადა, რომ ის რომ ყოფილიყო პროგრამის ხელმძღვანელი ან პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, შეეცდებოდა, რომ რაც შეიძლება მალე გაესწორებინა არსებული ხარვეზები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკა ბაკარაძემ აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია შესრულებულია. ძირითადი ლიტერატურის საკითხი ფაქტობრივად ტექნიკური ხასიათისაა, წინამორბედი პროგრამის გამოკითხვის ანალიზი გაკეთებულია და ერთგვარად უკუპროცესი გამოვა წინა პროგრამასთან მიმართებით, ვინაიდან კვალიფიკაციების დაზუსტების შედეგად ამუშავდება/წესით უნდა ამუშავდეს ახალი პროგრამა და მისი აზრით, აზრი არ აქვს აღნიშნულის გაკეთებას, ვინაიდან ორი სხვადასხვა პროგრამა ჩამოყალიბდა. თუმცა, გამოკითხვის ანალიზი სულ კეთდებოდა და კეთდება. მან აღნიშნა, რომ შეუძლია ახალი, სხვა

ტიპის რეკომენდაციები წარმოადგინოს არსებული რეკომენდაციების მიღმა. სხვა მხრივ, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა და სექტემბრამდე სავარაუდოდ მათ ახალი სტუდენტები არ ეყოლებათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება

დაწყების დრო: 16:00

დასრულების დრო: 16:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, 21-ე პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

რეკომენდაციები :

- სილაბუსებში, ძირითადი ლიტერატურა იყოს ინგლისურენოვანი;
- დაკორექტირდეს სწავლის შედეგების ცხრილში მე-7 სწავლის შედეგის შესაბამისი საგანი/საგნები;

რჩევები

- გაკეთდეს ამ პროგრამის წინამორბედი პროგრამის გამოკითხვების ანალიზი;
- სასურველია ნათლად ჩანდეს თვითშეფასების ანგარიშში პროფილის განმსაზღვრელი ძირითადი მოდულების კრედიტების რაოდენობა;
- სასურველია, რომ პროგრამა ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომს;
- სასურველია, თავისუფალ კომპონენტებს არ ჰქონდეთ წინაპირობები.

4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ გაცემული იყო რეკომენდაციები და მათ იმუშავეს და შეისწავლეს თუ რამდენად იქნა შესრულებული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა პირველ, მესამე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სტანდარტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები და ექსპერტმა ჯგუფმა შეიმუშავა ნამდვილად დადებითი დასკვნა და მხოლოდ რჩევები იქნა მათ მიერ გაცემული. მეშვიდე სტანდარტის მიმართ გაიცა რჩევა, რომ „სასურველია აკადემიამ შექმნას ფორმალური დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სასწავლო პროცესში ჩართვის შეზღუდვები და პროცედურები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი“. ია მოსაშვილმა ისაუბრა გარკვეულ საკითხებზე, რომელიც მისი თქმით დოკუმენტებიდან არ იყო ცხადი, თუმცა ვიზიტის შემდეგ დაზუსტდა და ნათელი გახდა აღნიშნული საკითხები. მაგალითად, „სახანძრო უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია. აკადემიას აქვს რამდენიმე გასაიდუმლოებული დოკუმენტი. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს „სახანძრო უსაფრთხოება“. შესაბამისად, ამ დოკუმენტის გაზიარება აკადემიის მიერ ვერ მოხერხდა ექსპერტებისთვის, თუმცა უამრავი მტკიცებულება არსებობს იმის, რომ „სახანძრო უსაფრთხოების“ საკითხები დაწესებულებაში დაცულია. ასევე ია მოსაშვილმა ისაუბრა კარიერული განვითარების საკითხთან დაკავშირებით და მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არც ერთ კურსდამთავრებულს თავდაცვის ძალებში დასაქმების პრობლემა არ აქვს და 5 წლის განმავლობაში ისინი მსახურობენ თავდაცვის ძალებში და 5 წლის შემდეგ აქვს შესაძლებლობა, რომ წავიდნენ თავდაცვის ძალებიდან. ამიტომ კარიერული განვითარების საკითხები, ისე როგორც სხვა დაწესებულებს მოეთხოვება, აკადემიის მიმართ არ უნდა იყოს მოთხოვნილი.
ექსპერტმა ნინო ამირანაშვილმა მეშვიდე სტანდარტის მიმართ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მეშვიდე სტანდარტის მიმართ არ არსებობდა რეკომენდაციის გაცემის საფუძველი და მათი მხრიდან გაცემულ იქნა რჩევა. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა შშმ პირების სწავლის პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით იმაზე მეტი ინფორმაცია მიიღეს, ვიდრე დოკუმენტურად იყო განსაზღვრული და რჩევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უფრო ფორმალიზებული სახეს მიეცეს დაწესებულების მიერ შშმ პირების სწავლის პროცესში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შშმ პირის სწავლის პროცესში ჩართვას წყვეტს ექიმი. მან უნდა დაადგინოს თუ რა ტიპის შეზღუდვა აქვს პირს და რამდენად შესაძლებელია მათი ჩართვა პროცესში. შესაბამისად, სასურველია ფორმალიზებული სახე მისცეს აკადემიამ შშმ პირების სწავლის პროცესში ჩართვას. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან მათ მიიღეს ინფორმაცია, რომ არის შემთხვევები როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლექტორები ერთვებიან სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულებაში არსებობს

ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესაძლებლობა. თუმცა, აღნიშნული შემთხვევების უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტურად არ არის გაწერილი და ექსპერტებმა გასცეს რჩევა, რომ ვინაიდან აღნიშნული პრაქტიკა არსებობს, სასურველია, რომ ფორმალიზებული იყო და დოკუმენტურად გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შშმ პირების ჩარიცხვა აკადემიაში არ ხდება. ეს გაწერილია როგორც პროგრამის მიღების წინაპირობაში, ისე თავდაცვის კოდექსში. დაწესებულების აზრით სავარაუდოდ ექსპერტებმა იგულისხმეს შემთხვევა, როდესაც დროებით ეზღუდება შესაძლებლობა ლექტორს. თუ იუნკერს ეზღუდება შესაძლებლობა გარკვეული ვადით, მაშინ ისინი აკადემიურს იღებენ და სამკურნალო შვებულებაში გადადიან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შშმ პირები ავტომატურად გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და უმჯობესი იქნება მეტი კონკრეტიკა ექსპერტების მხრიდან, რომ დაზუსტდეს რომ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც დროებითი ჯანმრთელობის პრობლემა აქვს იუნკერს ან ლექტორს.
ექსპერტმა ნინო ამირანაშვილმა კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ რჩევა ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, რომელიც აღწერილი იყო ვიზიტისას. კერძოდ დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასეთი შემთხვევების დროს ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, ექსპერტები გულისხმობენ მხოლოდ ინდივიდუალური გეგმის ფორმალიზებული მექანიზმის შემუშავებას ისეთ შემთხვევებში, რომელიც დაშვებულია აკადემიაში სწავლების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება

დაწყების დრო: 16:15
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისმიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 2023 წლის 09 ნოემბრის 16:21 საათზე დახურულად გამოცხადდა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა